საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/212
15.03.2024

ბრძანება

212-01-4-202403151158

უჩა ლურსმანაშვილის (პ/ნ), შალვა ხუხაშვილისა (პირადი პ/ნ) და ნოდარ ხუხაშვილის (პ/ნ) მიერ ერთობლივი საწარმოს დაფუძნების გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს მე-11 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების, 11^1 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 17^1 მუხლის მე-4 პუნქტის, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლისა და სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-20 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №288 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და ამავე დებულების მე-5 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს გადაწყვეტილება უჩა ლურსმანაშვილის (პ/ნ), შალვა ხუხაშვილისა (პირადი პ/ნ) და ნოდარ ხუხაშვილის (პ/ნ) მიერ ერთობლივი საწარმოს დაფუძნების გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ თანდართული სახით;

2. ერთობლივი საწარმოს დაფუძნების გზით უჩა ლურსმანაშვილს, შალვა ხუხაშვილსა და ნოდარ ხუხაშვილს შორის განსახორციელებელი კონცენტრაცია მიჩნეულ იქნეს კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად;

3. გადაწყვეტილება გაეგზავნოთ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში შეტყობინების წარმომდგენ პირებს;

4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ, პერსონალურ ან

საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით;

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64);

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ლევან კალანდაძე

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

გადაწყვეტილება

უჩა ლურსმანაშვილის (პ/ნ), შალვა ხუხაშვილისა (პირადი პ/ნ) და ნოდარ ხუხაშვილის (პ/ნ) მიერ ერთობლივი საწარმოს დაფუძნების გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

I. ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში 2024 წლის 27 თებერვლის (რეგ. 28 თებერვალი, N01/1147) კორესპონდენციით შემოვიდა ერთობლივი შეტყობინება ფიზიკური პირების - უჩა ლურსმანაშვილის (პ/ნ), შალვა ხუხაშვილისა (პ/ნ) და ნოდარ ხუხაშვილის (პ/ნ) მიერ ერთობლივი საწარმოს დაფუძნების გზით დაგეგმილი, განსახორციელებელი კონცენტრაციის თაობაზე.

შეტყობინება მოიცავდა დადგენილი ფორმით მოთხოვნილ ინფორმაციას კონცენტრაციის შესახებ:

- ზოგადი მონაცემები კონცენტრაციაში მონაწილე პირთა შესახებ;
- ზოგადი ინფორმაცია კონცენტრაციის შესახებ - ფორმა, მიზანი;
- კონცენტრაციის მხარეებთან დაკავშირებული პირები, მათი ერთობლივი შემოსავლები 2023 წელს;
- კონცენტრაციის აღწერა - შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა, უახლოესი 24 თვის ეკონომიკური და ბიზნესგეგმები, კონცენტრაციის სავარაუდო შედეგები, ინფორმაცია კონცენტრაციის დადებითი და უარყოფითი ზეგავლენის შესახებ; კონცენტრაციის მოსალოდნელი შედეგების აღწერა; საკითხები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტაზე და რაზეც უნდა იქნეს სააგენტოს მიერ ყურადღება გამახვილებული.

<u>შეტყობინებას თან ახლდა დანართები:</u>

- კონცენტრაციის მხარეებთან დაკავშირებული კომპანიების ამონაწერები მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- კონცენტრაციის მხარეთა განცხადება.

<u>მონაწილე მხარეების ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური აგენტები:</u>

- შპს „რეპსოლის“ (ს/ნ 405074128) 100%-იანი წილის მფლობელია ფ/პ უჩა ლურსმანაშვილი;
- შპს „ოქტანის“ (ს/ნ 443863231) 100%-იანი წილის მფლობელია ფ/პ უჩა ლურსმანაშვილი;
- შპს „ექსას“ (ს/ნ 443862456) 50%-იანი წილის მფლობელია ფ/პ უჩა ლურსმანაშვილი;
- შპს „ნათიანას“ (ს/ნ 404555236) 50%-იანი წილის მფლობელია ფ/პ უჩა ლურსმანაშვილი;
- შპს „პ3-ის“ (ს/ნ 405455608) 50%-იანი წილის მფლობელი და დირექტორია ნოდარ ხუხაშვილი;
- შპს „პ3-ის“ (ს/ნ 405455608) 50%-იანი წილის მფლობელია ფ/პ შალვა ხუხაშვილი;
- შპს „Portal-ის“ (ს/ნ 404989241) 100%-იანი წილის მფლობელია შპს „პ3“ (ს/ნ 405455608);
- შპს „Portal-ის“ (ს/ნ 404989241) დირექტორია ნოდარ ხუხაშვილი;

- შპს „პორტალ + -ის“ (ს/ნ 405148521) 50%-იანი წილის მფლობელია შპს „პ3“ (ს/ნ 405455608);
- შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯიას“ (ს/ნ 405336337) 100%-იანი წილის მფლობელია შპს „პ3“ (ს/ნ 405455608).

როგორც შეტყობინებაშია აღნიშნული, წინამდებარე კომპანიებიდან გაცხადებული კონცენტრაციის შესაბამის ბაზარზე საქმიანობენ შპს „რეპსოლი“ (ს/ნ 405074128), შპს „ექსა“ (ს/ნ 443862456), შპს „პორტალ +“ (ს/ნ 405148521) და შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“ (ს/ნ 405336337).

შეტყობინებაში მითითებულია, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში შპს „ნათიანასა“ (ს/ნ 404555236) და შპს „პორტალ + -ში“ (ს/ნ 405148521) მოხდა წილების შეძენა. კერძოდ, 2022 წლის 30 მაისს შპს „ნათიანას“ 50%-იანი წილი შეიძინა ფ/პ უჩა ლურსმანაშვილმა. რაც შეეხება შპს „პორტალ + -ს“, 2021 წლის 20 მაისს მისი 100%-იანი წილი შეიძინა შპს „პ3-მა“.

<u>კონცენტრაციის ფორმა:</u>

განსახორციელებელი კონცენტრაციის ფორმა არის ერთობლივი საწარმოს დაფუძნება. მხარეთა მითითებით, აღნიშნული კომპანიის 50%-იანი წილის მესაკუთრე იქნება ფ/პ უჩა ლურსმანაშვილი, ხოლო 25-25%-იანი წილობრივი მონაწილეობა ექნებათ ნოდარ ხუხაშვილსა და შალვა ხუხაშვილს.

<u>კონცენტრაციის მიზანი და გეგმა:</u>

მხარეთა განცხადებით, კონცენტრაციის მიზანს წარმოადგენს ახალი და მომხმარებელზე ორიენტირებული კომპანიის შექმნა, რომელიც ეცდება ნავთობპროდუქტების მომსახურების სფეროში ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, ამ კუთხით ინვესტირებას და შედეგად, მომხმარებლისათვის გაუმჯობესებული სერვისის მიწოდებას, რაც თავის მხრივ გამოიწვევს მომხმარებელთა კმაყოფილების ზრდას. თავდაპირველ ეტაპზე წარმატებული ოპერირების შემთხვევაში, დაგეგმილია შემდგომი გაფართოება.

როგორც მხარეები უთითებენ, კომპანია, რომლის დაფუძნებასაც ისინი აპირებენ, ეკონომიკურ საქმიანობას განახორციელებს ნავთობპროდუქტებით საცალო და საბითუმო ვაჭრობის სფეროში. ხოლო მისი საქმიანობის გეოგრაფიულ არეალად საწყის ეტაპზე მიჩნეულია ქალაქი თბილისი. კონცენტრაციის მონაწილე მხარეების აზრით, კონცენტრაცია თავდაპირველ ეტაპზე არსებითად ვერ შეცვლის ბაზარზე არსებულ მდგომარეობას, ვინაიდან, მისი განვითარება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული.

მხარეები კონცენტრაციის შესაძლო დადებით ზეგავლენად მიიჩნევენ იმას, რომ განსახილველი კომპანიის დაფუძნებით, ახალი ინვესტიციების მოზიდვითა და საერთო გამოცდილების გაზიარებით, შესაძლებელი გახდება მომხმარებლისათვის სიახლეების შეთავაზება, ინფრასტრუქტურული, ლოგისტიკური, ტექნოლოგიური და სხვა კუთხით განვითარება. რაც შეეხება შესაძლო უარყოფით ზეგავლენას, ასეთის თაობაზე შეტყობინებაში არ არის მითითებული.

მხარეები ადასტურებენ, რომ შეტყობინებაში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს და მათთვის ცნობილია არასწორი ინფორმაციის მიწოდებით გამოწვეული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგები.

II. სამართლებრივი მიმოხილვა

სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენის, განხილვისა და სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მატერიალური და პროცედურული საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ: „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „სსიპ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილებით, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით, „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით და სხვა.

სააგენტოსათვის წინასწარ შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, რომელიც ერთობლივად აკმაყოფილებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და 11[1] მუხლების მოთხოვნებს.

1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია კონცენტრაციის განმარტება;
2. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ მისი კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ხოლო ამავე კანონის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სავალდებულო შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის სააგენტოს გვერდის ავლით განხორციელების შემთხვევაში, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს ეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ აღემატება სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის წინა ფინანსური წლის ერთობლივი შემოსავლის 5%-ს. ჯარიმის დაკისრება შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს არ ათავისუფლებს სააგენტოსთვის შეტყობინების წარმოდგენისგან. ჯარიმის დაკისრების პარალელურად, შეტყობინების წარმოდგენის ვადას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს სააგენტო და იგი არ შეიძლება იყოს 14 კალენდარულ დღეზე ნაკლები. სააგენტო განიხილავს კანონმდებლობის გვერდის ავლით განხორციელებულ კონცენტრაციას და იმ შემთხვევაში თუ ის მიიჩნევა დაუშვებლად, ჯარიმის დაკისრების პარალელურად მიმართავს სასამართლოს კონცენტრაციის გაუქმების და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზნით;
3. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის ოდენობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი დარღვევით გამოწვეული ზიანი, დარღვევის ხანგრძლივობა და სიმძიმე. თავის მხრივ, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 2 დეკემბრის N04/158 ბრძანებით დამტკიცებული „ჯარიმების ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპების“ მიხედვით, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის პროცესში სააგენტო მოქმედებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნის დასაცავად და ითვალისწინებს მხარეთა ინტერესებს. კერძოდ, უზრუნველყოფს, რომ მის მიერ გამოყენებული ჯარიმა იყოს სამართლიანი, პროპორციული და პრევენციული ხასიათის. ჯარიმის დაკისრების დროს, გასათვალისწინებელია, ქმედება განზრახ იქნა ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით, პირი მოქმედებდა მოგების მიღების მიზნით, თუ საკუთარი საწარმოს რთულ ვითარებაში ჩაგდების

თავიდან ასაცილებლად, ან პირველად ჩაიდინა თუ არა მან მსგავსი ქმედება და სხვა. ჯარიმის განსაზღვრის დამატებითი კრიტერიუმები ასევე მოცემულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც. ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობის გამოთვლის დროს, მხედველობაში მიიღება პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის ეკონომიკური მდგომარეობა;

4. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-3 მუხლის მიხედვით, სააგენტოსათვის შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე პირების ერთობლივი (ჯამური) წლიური შემოსავალი საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და, ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი პირიდან თითოეულის წლიური ერთობლივი შემოსავალი აღემატება 5 მილიონ ლარს;
5. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის მონაწილეთა ერთობლივი შემოსავლის გამოთვლისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ერთეულების ერთობლივი შემოსავალი: ა) კონცენტრაციაში მონაწილე პირები; ბ) კონცენტრაციაში მონაწილე პირთა მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლირებადი ან პირდაპირ ან არაპირდაპირ მაკონტროლებელი საწარმოები; გ) საწარმოები, რომლებიც იმყოფებიან კონცენტრაციის მონაწილე პირთა ერთობლივი კონტროლის ქვეშ.
6. სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით - ერთობლივი საწარმოს შექმნის შემთხვევაში შეტყობინების წარდგენის ვალდებულება ეკისრება ოპერაციის ყველა მონაწილეს, ერთობლივი შეტყობინების წარდგენის გზით;

მნიშვნელოვანია, რომ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციად მიიჩნევა ერთობლივი საწარმოს შექმნა, თუ იგი ხანგრძლივად ასრულებს დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის ყველა ფუნქციას. შესაბამისად, ერთობლივი საწარმოს შექმნა, მხოლოდ იმ შემთხვევაში ექცევა კანონის რეგულირების სფეროში, თუ ის ხანგრძლივად ასრულებს დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის ყველა ფუნქციას. ამდენად, საკანონმდებლო ჩანაწერზე დაყრდნობით შეგვიძლია გამოვყოთ ორი საჭირო ელემენტი: 1) ბაზარზე ხანგრძლივი ფუნქციონირება; 2) დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის ყველა ფუნქციის ქონა. ანალოგიურ ჩანაწერს ითვალისწინებს ევროპის საბჭოს 2004 წლის №139 დადგენილებით ეკონომიკურ აგენტთა შორის კონცენტრაციების კონტროლის შესახებ (The EC Merger Regulation) დადგენილების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი. ამასთან, განასხვავებენ ორი სახის ერთობლივ საწარმოს ე.წ. „ფუნქციურ ერთობლივ საწარმოსა“[1] და „არაფუნქციურ ერთობლივ საწარმოს“[2]. აღნიშნული მიდგომა ევროკავშირის კანონმდებლობაში ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს 2017 წლის გადაწყვეტილებით განმტკიცდა, რომელმაც განმარტა, რომ კონტროლის ცვლილება და ერთობლივ საწარმოზე ერთობლივი კონტროლის დამყარება მხოლოდ იმ შემთხვევაში იწვევს შეტყობინების ვალდებულებას ევროკავშირის დონეზე, თუ სახეზეა ე.წ. „სრულად ფუნქციური

[1] Full-functional Joint Venture
[2] Non Full-functional Joint Venture

ერთობლივი საწარმო“.[3] აქედან გამომდინარე, ისეთი ერთობლივი საწარმოს შექმნა, რომელიც ფაქტობრივად შექმნილია, თუმცა ბაზრისთვის არ არსებობს, რადგან არ გამოდის ბაზარზე, არ წარმოადგენს კონცენტრაციას კონკურენციის ევროპული სამართლის მიხედვით. ამასთან, ვინაიდან, საქართველოს კანონი არ იძლევა განმარტებას, თუ კონკრეტულად რა იგულისხმება დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის ყველა ფუნქციის ხანგრძლივად შესრულებაში, ამ მიმართულებითაც საინტერესოა ევროკომისიის გამოცდილება. ევროკომისია, ამ მიმართულებით იყენებს 4 ძირითად კრიტრიუმს: 1. ერთობლივ საწარმოს უნდა ჰქონდეს საკმარისი რესურსი ბაზარზე დამოუკიდებლად ფუნქციონირებისათვის; 2. ერთობლივი საწარმო არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმ საქმიანობით, რასაც ახორციელებენ მშობელი კომპანიები, ან რაც შეიძლება წამროადგენდეს მშობელი კომპანიების ეკონომიკური საქმიანობის არსებითად დამხმარე საქმიანობას; 3. არ უნდა არსებობდეს იმგვარი სავაჭრო გარიგებები, რაც გავლენას მოახდენს ერეთობლივი საწარმოს დამოუკიდებლობის ხარისხზე; 4. ერთობლივი საწარმო უნდა ფუნქციონირებდეს დამოუკიდებლად ხანგრძლივი დროის განმავლობაში.[4] ზემოაღნიშნული კრიტერიუმები კუმულატიურია და აუცილებელია დაკმაყოფილებულ იქნას ერთდროულად. თუმცა, ევროკომისიის გამოცდილებით და დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ერთობლივი საწარმოს შექმნა განიხილება კონცენტრაციად მაშინაც კი, როდესაც კრიტერიუმები სრულად არ არის დაკმაყოფილებული.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მხარეთა მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შეფასების შემდგომ, კონკურენციის სამართლის მიზნებიდან გამომდინარე, სააგენტომ დაგეგმილი ერთობლივი საწარმოს დაფუძნება მიიჩნია კონცენტრაციად. ამასთან, კონცენტრაციის მხარეების მიერ პირდაპირ და არაპირდაპირ კონტროლირებადი ეკონომიკური აგენტების ერთობლივი შემოსავლების გათვალისწინებით დადგინდა, რომ განსახორციელებელი კონცენტრაცია ექვემდებარებოდა სააგენტოსათვის წინასწარ სავალდებულო შეტყობინებას.

7. კანონის 11[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიერ კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვისთვის დაწესებული საფასური შეადგენს 5 000 ლარს;
8. კანონის 11[1] მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, თუ დაგეგმილი კონცენტრაცია ექცევა ამ კანონის რეგულირების სფეროში, სააგენტო კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვას იწყებს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ და ამ დოკუმენტის წარდგენიდან არაუგვიანეს 25 სამუშაო დღისა, ვალდებულია განიხილოს და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

   ა) დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ;

   ბ) კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ, თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ შესაძლებელია დაგეგმილი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადი არ იყოს ან თუ, საქმის სირთულიდან გამომდინარე, საჭიროა

[3] Austria Asphalt GmbH & Co OG v Bundeskartellanwalt, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, ICJ (07 სექტემბერი, 2017); იხ. https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=194102&pageIndex=0&doclang=EN&mode=req&dir=&occ=first,

[4] Commission Consolidated Jurisdictional Notice under Council Regulation (EC) No 139/2004 on the control of concentrations between undertakings, Official Journal of the European Union, 16.04.2008, გვ. 23-27; იხ. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52008XC0416(08)&from=EN

შესაბამისი საკითხის დამატებით შესწავლა. სააგენტოს მიერ აღნიშნულ ვადაში ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიუღებლობა დადებით პასუხად მიიჩნევა;

9. კანონის 11^1 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინება განიხილოს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა. ამ ვადაში სააგენტოს მიერ აღნიშნულ შეტყობინებაზე პასუხის გაუცემლობა დადებით პასუხად მიიჩნევა;
10. იმ კონცენტრაციის რეგისტრაციისთვის, რომლებსაც ეკისრებათ ამ კანონის 11^1 მუხლით განსაზღვრული კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების ვალდებულება, აუცილებელია, არსებობდეს სააგენტოს გადაწყვეტილება მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტული ეფექტის შესახებ. სააგენტოს მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია;
11. კანონის 11^1 მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების ამოწურვამდე ან სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია. სააგენტოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია;
12. კანონის მე-11 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, კონცენტრაცია, რომელიც არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან. ხოლო, კონცენტრაცია, რომელიც ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას - არ არის თავსებადი;
13. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 და „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებებით დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტებით განისაზღვრება დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასების საკითხები. აღნიშნული აქტები მოიცავს, როგორც სასაქონლო ბაზრის, ასევე დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასების პრინციპებს, შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებს;
14. კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის“.

III. ბაზრის ანალიზი

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე” სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-5 მუხლის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;

ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;

გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

ა) პროდუქციული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.[5]

ავტოგასამართ სადგურებზე ხელმისაწვდომია 3 სახეობის ბენზინი და 2 სახეობის დიზელი. ამასთან, დიზელისა და ბენზინის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია პრაქტიკულად ნებისმიერ ავტოგასამართ სადგურზე.

განსახილველ ბაზართან დაკავშირებით, სააგენტოს მიერ განხორციელებული წარმოებების ფარგლებში[6], სააგენტომ ბენზინისა და დიზელის ტიპის საწვავი განიხილა როგორც ერთი ბაზარი, რაც განაპირობა მიმწოდებლის მხრიდან ამ პროდუქტების ურთიერთაჩანაცვლებადობამ. კერძოდ, ბაზარზე არსებული მოთხოვნიდან გამოდინარე, მიმწოდებელს მარტივად შეუძლია ერთი სახეობის საწვავის მიწოდებიდან გადაერთოს სხვა სახეობის საწვავის მიწოდებაზე, რისთვისაც შესაძლებელია იდენტური გადამზიდი ავტომობილის, რეზერვუარისა თუ საწვავის მარიგებელი სვეტის გამოყენება და რაც არ საჭიროებს მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯს. ლოგისტიკური სიმარტივის მიღმა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ფასწარმოქმნაზე მოქმედებს იდენტური ფაქტორები (ნედლის ნავთობის ფასი, პლატსის ფასი, ლარის გაცვლითი კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებით). მომხმარებლის მხრიდან, ბენზინის, ისევე როგორც დიზელის ყველა სახეობა ურთიერთჩამანაცვლებელია. თუმცა, რასაკვირველია, ბენზინი და დიზელი მომხმარებლისათვის თვისობრივად არ წარმოადგენს ურთიერთჩამანაცვლებელ პროდუქტებს, რადგან ბენზინზე მომუშავე ავტომობილის გამართვა შეუძლებელია დიზელის ტიპის საწვავით.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მიმწოდებლის მხრიდან ბენზინი და დიზელი ურთიერთჩამნაცვლებელია, ხოლო ორივე ტიპის საწვავის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია ნებისმიერ ავტოგასამართ სადგურზე, ასევე, ამ ბაზართან დაკავშირებით სააგენტოს არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესწავლის მიზნით, სააგენტო ბენზინსა და დიზელს განიხილავს, როგორც ერთ პროდუქციულ ბაზარს.

ბ) გეოგრაფიული საზღვრები

შპს „რეპსოლის“, შპს „პორტალისა“ და შპს „ექსას“ აგს-ები განთავსებულია მთელი ქვეყნის მასშტაბით. შესაბამისად, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს, შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრებზე კონცენტრაციის კონკურენტული ეფექტი შეფასდეს ეროვნულ დონეზე.

---

[5] კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის N 37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტი.

[6] იხ. https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpa0YwRM.pdf; https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/83d7db79de3540fa87f1044d12b3e029.pdf; https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpFjnooQ.pdf

გ) დროითი ჩარჩო

პროდუქციის მიწოდება არ ხასიათდება სეზონურობით, შესაბამისად, ბაზარს არ გააჩნია კონკრეტული დროითი ჩარჩო.

ბაზრის მოცულობა და კონცენტრაციის ინდექსი:

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული მითითებების მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, ბაზრის მოცულობა წარმოადგენს დროის განსაზღვრულ პერიოდში ბაზარზე მიწოდებული საქონლის/მომსახურების რეალიზაციის მოცულობას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის მოცულობა იანგარიშება ამ ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების მიერ რეალიზებული საქონლის/მომსახურების მოცულობათა ჯამით. ბაზრის ანალიზის პროცესში, სააგენტო ეყრდნობა აუცილებლობის და თანაზომიერების პრინციპებს და ბაზრის ანალიზს ახორციელებს მიზნის მისაღწევად საჭირო და პროპორციული კვლევის ჩატარების გზით.

კონცენტრაციის მხარეებთან დაკავშირებული და შესაბამის ბაზარზე წარმოდგენილი ოთხი კომპანიიდან სამი ოპერირებს საცალო დონეზე, აქედან ერთი როგორც საცალო ასევე იმპორტის დონეზე, ხოლო მეოთხე კომპანია მხოლოდ იმპორტის დონეზე. შესაბამისად, სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია, კონცენტრაციის შესაძლო გავლენა შეეფასებინა როგორც იმპორტის, ასევე საცალო დონეზე.

სააგენტოს მიერ შესაბამისი ბაზრის საცალო დონეზე, ბაზრის მოცულობის, ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების განსაზღვრისა და მათი საბაზრო წილების დაანგარიშების მეთოდოლოგია ეყრდნობა შემდეგს - საავტომობილო საწვავის გადაადგილება ექვემდებარება ნავთობპროდუქტების სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით აღრიცხვას. შესაბამისად, ბაზრის საცალო დონის ანალიზის პროცესში სააგენტო ითვლის ქვეყანაში რეგისტრირებულ საცალო ავტოგასამართი სადგურების საცალო საცავებში ყოველწლიურად მიტანილი საწვავის მოცულობას ლიტრებში.

კონცენტრაციის მხარეებთან დაკავშირებული ეკონომიკური აგენტების საკუთრებაში არსებული აგს-ების იდენტიფიცირება მოხდა უნიკალური შვიდნიშნა კოდების მეშვეობით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დადგინდა შემდეგი:

ეროვნული დონე

საცალო ბაზრის მოცულობა 2023 წელს - 1 397 855 ათასი ლიტრი;

საცალო ბაზარზე მოქმედი კომპანიების რაოდენობა - 383;

საცალო ბაზარზე მოქმედი ავტოგასამართი სადგურების რაოდენობა - 1211;

ბაზრის კონცენტრაციის (HHI) ინდექსი - 1 132;

შპს „რეპსოლის“, შპს „პორტალის“ და შპს „ექსას“ საბაზრო წილები - ⅓, ⅓ და ⅓;

სამიზნე ავტოგასამართ სადგურებზე რეალიზებული საწვავის მოცულობა 2023 წელს - ათასი ლიტრი, ბაზრის ⅓;

HHI კონცენტრაციის განხორციელების შემდეგ - 1 163;

ΔHHI[7] - 31.

2023 წელს, შესაბამისი ბაზრის იმპორტის დონეზე ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი (HHI ინდექსი) შეადგენდა 1 167 ერთეულს, კონცენტრაციის განხორციელების შემდეგ, სამიზნე და მათთან დაკავშირებული კომპანიების მიერ 2023 წელს იმპორტირებული საწვავის რაოდენობის გათვალისწინებით, მოსალოდნელია კონცენტრაციის ინდექსის ზრდა 18 ერთეულით - 1 185 ერთეულამდე.

სააგენტოს შეფასებით, ბენზინისა და დიზელის შესაბამისი ბაზრის როგორც იმპორტის, ასევე საცალო რეალიზაციის დონე დაბალკოცენტრირებულია და კონცეტრაციის შედეგად, ადგილი არ აქვს ინდექსის არსებით ცვლილებას.

IV. კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს შეფასება

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ დაადგინა, რომ შალვა ხუხაშვილის (პ/ნ), ნოდარ ხუხაშვილისა (პ/ნ) და უჩა ლურსმანაშვილის (პ/ნ) მიერ ერთობლივი საწარმოს დაფუძნების გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან.

[7] კონცენტრაციის ინდექსის ცვლილების მაჩვენებელი.